საქართველოს პარლამენტი

2024 წლის თებერვლის თვის
მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
მარტი

2024 წლის თებერვლის თვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

5.8%

იანვარი*

2024 წლის თებერვალში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ **0.3%** შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია **2.4%**-ით განისაზღვრა.

იანვარში* საქონლის ექსპორტი **26.2%**-ით, ხოლო იმპორტი **10.1%**-ით შემცირდა.



იანვარში* ფულადმა გზავნილებმა **263.4** მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
ევროკავშირის ქვეყნები - **38.1%;**
რუსეთი - **25.7%;**
აშშ - **14.4%;**
სხვა ქვეყნები - **21.8%.**

იანვარში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაცია უცვლელია, ხოლო სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი შემცირდა.

თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან **0.7%**-ით, ევროსთან მიმართებით კი **1.9%**-ით გამყარდა.

1. რეალური და ფისკალური სექტორი





<u>2024 წლის იანვარში* დადებითი ეკონომიკური ზრდა 5.8%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.</u>

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, იანვარში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 5.8% შეადგინა.

ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა მშენებლობის, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის დარგებმა.

დღგ-ის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2024 წლის იანვარში 10,445.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1.4%-ით აღემატება.

<u>თებერვალში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 0.3% შეადგინა.</u>

თებერვალში, წინა წლის ანალოგიურ თვესთან შედარებით, ინფლაციის დონე 0.3%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე გავლენა იქონია, ძირითადად, ფასების დინამიკამ ტრანსპორტზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, ჯანდაცვაზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე. თებერვალში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 2.4%-ით განისაზღვრა. 2024 წლის იანვარში* მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 1.6% შეადგინა.









<u>2024 წლის იანვარში* ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.</u>

იანვარში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 13.9%-ით, ხოლო ხარჯები 26.4%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 400.6 მლნ ლარით, ხოლო ასევე დადებითი მთლიანი სალდო 12.4 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის იანვარში საგადასახადო შემოსავლებმა 1,589.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 10.9%-ით აღემატება. განსაკუთრებით გაიზრდა მოგების გადასახადი (+109.6%), აქციზი (16.2%) და საშემოსავლო გადასახადი (14.8%). პირდაპირი გადასახადები მთლიანი გადასახადების 46.1%-ია, ხოლო არაპირდაპირი გადასახადები - 53.9%.

იანვარში*, წინა წლის შესაბამის მაჩვენებლთან შედარებით, არაფინანსური აქტივების დადებითი 112.9%-იანი წმინდა ზრდა დაფიქსირდა (205.9 მლნ ლარით მეტი), ხოლო ფინანსური აქტივების წმინდა ზრდა 29.0 მლნ ლარით მეტი.



<u>იანვარში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.</u>

იანვარში*, წინა წლის იანვართან მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 15.0%-ით მოიმატა და 50.1 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 16.8%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 12.8%-ით გაიზარდა. სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებთან შედარებით, 0.54%-ული პუნქტით შემცირდა და 44.6% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (51.3%) შინამეურნეობებზე მოდის. (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.9% ფიზიკურ პირებზე მოდის, 14.1% კი ინდმეწარმეებზე). გაცემული სესხების 35.6% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 64.2% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი სესხი - 20.8% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 19.3% - მშენებლობის, 19.0% - მრეწველობის, 12.9% - უძრავი ქონების ოპერაციების, 7.6% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



<u>იანვარში*, წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, შემცირდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი.</u>

კერძოდ, ექსპორტმა 26.2%-ით, ხოლო იმპორტმა 10.1%- ით მოიკლო, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 14.8%-ით შემცირდა და 1,341 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 25.2%- ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: ყირგიზეთში (180%), უზბეკეთსა (40%) და ყაზახეთში (10%) მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის მატების გამო, აგრეთვე, უკრაინაში (43%). ექსპორტი შემცირდა რუსეთში (53%), სომხეთში (48%), ჩინეთში (37%), აზერბაიჯანში (21%) და სხვა .

საექსპორტო საქონლის მიხედვით, განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა ძვირფასი ლითონების მადნების (612%), ციტრუსების (185%), სამკურნალო საშუალებების (128%), ნავთობისა და ნავთობპროდუქტების (85%), მინერალური და მტკნარი წყლის (42%), ნატურალური ღვინის (14%) ჯგუფებში. შემცირდა ფეროშენადნობების (62%), აზოტოვანი სასუქების (60%) საზღვარგარეთ გატანა.



2024 წლის იანვარში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი, 74.4% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 18.2% - საზღვაო, 4.8% - საჰაერო, 2.6% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) სახეების წილმა 0.2% შეადგინა.



2024 წლის იანვარში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით, იმპორტის უდიდესი ნაწილი 49.3% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 29.5% - საზღვაო, 8.0% - საჰაერო, 6.6% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) სახეების წილმა 6.6% შეადგინა.



2024 წლის იანვარში* საქართველოს ადგილობრივმა ექსპორტმა 158.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 38.9%-ით ჩამორჩება. იანვრის თვეში ათი უმსხვილესი ქვეყანა სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა იყო: რუსეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 21.3%), თურქეთი (16.6%), ჩინეთი (11.3%), აზერბაიჯანი (5.1%), უკრაინა (5.0%), სომხეთი (4.7%), შვეიცარია (3.9%), საბერძნეთი (3.2%), გერმანია (3.0%) და რუმინეთი (2.5%).





<u>2024 წლის იანვარში* ფულადი გზავნილები შემცირდა.</u>

იანვარში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილები 40.8%-ით შემცირდა და 263.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 38.1%) და რუსეთი (25.7%) წარმოადგენდნენ. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა: ირლანდიიდან (62%), აშშ-დან (33%), გერმანიიდან (14%), იტალიიდან (11%), საფრანგეთიდან (11%), პოლონეთიდან (9%). ამავე პერიოდში ფულადი გზავნილების ჩარიცხვა შემცირდა: რუსეთიდან (75%), ყირგიზეთიდან (40%), გაერთიანებული სამეფოდან (22%), თურქეთიდან (15%) და სხვა.



<u>თებერვალში საერთაშორისო რეზერვებმა 4,746 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.</u>

2024 წლის თებერვალში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 4,746 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2023 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 0.6%-ით მეტია, წინა თვესთან მიმართებით კი 2.2%-ით ნაკლები.

2024 წლის თებერვალში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე სავალუტო ოპერაციები არ განუხორციელებია.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯერადი.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <u>ბმული .</u>

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

<u>2024 წლის იანვარში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა მცირედით შემცირდა.</u>

იანვარში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა 1.9%-ით შემცირდა. მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 16.3%-ით გაიზარდა, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 15.8%-ით შემცირდა.

ფულის M2 აგრეგატმა 28.5%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 16.7%-ს გაუტოლდა.

თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 0.3% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები
%-ლი ცვლილება



2024 წლის 1 მარტის მდგომარეობით სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება 8,162.0 მილიონ ლარს შეადგენს. მათ შორის, 61.9% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 24.3% ეროვნული ბანკის, ხოლო 13.8% კომერციული ბანკების კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 79.2%, არა რეზიდენტი - 20.8%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით
(თებერვალი)



2024 წლის იანვარში*, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 52,114.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 15.8%-ით აღემატება. მათ შორის ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 49.3% შეადგინა, შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებმა 50.7%.

2024 წლის იანვრის თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 63.8% იურიდიულ პირებს, ხოლო 36.2% ფიზიკურ პირებს ეკუთნის.

ანალოგიურ პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 66.2% ფიზიკური პირების საკუთრებაა, ხოლო 33.8% კი - იურიდიული პირების მფლობელობაშია.

დეპოზიტები
(იანვარი)



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 46.5% ვადიანი დეპოზიტებია, 27.0% მიმდინარე ანგარიშები, ხოლო 26.5% მოთხოვნამდე დეპოზიტები.

უცხოური ვალუტის შემთხვევაში ყველაზე დიდი წილი კვლავ ვადიან დეპოზიტებს უკავია (38.6%), შემდეგ მოდის მოთხოვნამდე დეპოზიტები (33.7%) და მიმდინარე ანგარიშები (27.7%).



<u>2024 წლის იანვარში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე უცვლელი დარჩა, სესხებზე კი შემცირდა.</u>

იანვარში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი უცვლელი დარჩა და 47.0%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 0.54%-ული პუნქტით მოიკლო და 44.6% შეადგინა. იანვრის თვეში* ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 2.1%-ით შემცირდა, ასევე 2.1%-ით შემცირდა უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობაც.



2024 წლის იანვარში*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 9,759.9 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 25.5%-ით აღემატება. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 97.1%-ია, ხოლო მოკლევადიანის მხოლოდ 2.9%.



2024 წლის იანვარში*, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 33,903.7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 20.2%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 47.7%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით 52.3%.



2024 წლის თვის იანვრის ბოლოს არსებული მონაცემებებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების 62.2% გაცემულია თბილისში, 8.0% იმერეთში, 7.5% აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5.7% კახეთში, 4.7% ქვემო ქართლში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

<u>იანვარში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.6%-ული პუნქტით, ხოლო სესხებზე 0.9%-ული პუნქტით გაიზარდა.</u>

იანვარში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.9% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 8.1%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) იანვრის* მდგომარეობით 5.8% შეადგინა, 0.98%-ული პუნქტით მეტი წინა წლის იანვართან შედარებით.

თებერვალში უცვლელი დარჩა საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული კომიტეტის 2024 იანვრის გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 0.5%-ული პუნქტით შემცირების შესახებ, რომელმაც 9.0 შეადგინა.





თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.7%-ით, ევროს მიმართ 1.9%-ით, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 3.2%-ით გამყარდა. ამავე პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, თებერვალში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.3%-ით, ევროს მიმართ 1.0%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 57.7%-ით გამყარდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად მოიმატა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ფულადი გზავნილების მოცულობამ, ასევე ტურიზმიდან და ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რამაც, გასულ წლებთან შედარებით, დადებითი გავლენა იქონია აშშ დოლარის მიმართ ლარის კურსის გამყარებაზე. კერძოდ, თებერვლის თვეში პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 2.66-ს, ხოლო ევროსთან მიმართებთ 2.87-ს შეადგენს.

4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

2023 წლის IV კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, საარსებო მინიმუმი შემცირდა.

2023 წლის IV კვარტლის ბოლოს - დეკემბერში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა 221.1 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.4 ლარით, ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით - 1.1 ლარით ნაკლებია.

რაც შეეხება 2023 წლის IV კვარტლის საარსებო მინიმუმის საშუალო მაჩვენებელს, წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან მიმართებით შემცირებულია 1.1%-ით.





2024 წლის იანვრის* თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა როგორც, ჯანდაცვაზე, ასევე განათლებაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები.

2024 წლის იანვარში განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 309.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 53.9%-ით მეტია. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები კი 138.4 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 160.2%-ით მეტი.

4. რეგიონული მიმოხილვა

<u>თებერვალში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება.</u>
კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 67.1% შეადგინა, ხოლო სომხეთში დეფლაცია (-1.7%) დაფიქსირდა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, იანვრის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 1.7%-ით, ხოლო რუსეთში 7.4%-ით გაიზარდა.





<u>2024 წლის თებერვლის თვეში რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.</u>
კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, თებერვალში აშშ დოლართან მიმართებით გაუფასურდა ქართული ლარი (0.3%-ით), თურქული ლირა (38.7%-ით), რუსული რუბლი (20.4%-ით), სომხური დრამი (2.5%-ით) და აზერბაიჯანული მანათი (0.1%-ით).

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	თებ 23	მარ 23	აპრ 23	მაი 23	ივნ 23	ივლ 23	აგვ 23	სექ 23	ოქტ 23	ნოე 23	დეკ 23	იან 24	თებ 24
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	5.8	7.3	7.5	7.0	7.7	5.5	5.8	5.1	6.2	5.9	8.3	5.8	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	11.7	9.2	6.1	5.2	6.1	2.9	4.2	3.0	6.0	2.6	4.6	1.4	
ინფლაცია (%)	8.1	5.3	2.7	1.5	0.6	0.3	0.9	0.7	0.8	0.1	0.4	0.0	0.3
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	11.0	11.0	11.0	10.5	10.5	10.5	10.25	10.00	10.00	10.00	9.50	9.00	9.00
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.4	0.4	0.4	0.4	0.5	0.5	0.4	0.4	0.5	0.5	0.5	0.4	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.6	2.6	2.5	2.5	2.6	2.6	2.6	2.6	2.7	2.7	2.7	2.7	2.7
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	372,328.3	438,392.2	369,709.2	384,885.8	353,170.7	301,068.1	287,005.6	283,878.0	283,006.1	292,732.9	308,285.9	263,386.6	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	455.8	546.7	500.5	541.4	550.2	526.8	493.2	526.0	494.9	482.0	514.2	338.6	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,067.7	1,378.3	1,223.5	1,328.9	1,340.2	1,322.4	1,408.9	1,376.9	1,353.9	1,284.7	1,313.6	1,002.7	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-611.9	-831.6	-722.9	-787.5	-790.1	-795.6	-915.7	-850.9	-859.0	-802.7	-799.4	-664.1	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,720.2	5,003.8	5,133.4	5,005.3	5,066.7	5,436.1	5,436.8	5,273.2	5,118.8	5,121.7	5,003.0	4,853.2	4,746.3
შემოსავლები (მლნ ლარი)	1,555.1	1,656.6	2,165.0	1,755.9	1,877.8	1,846.9	1,721.5	1,821.2	1,913.4	1,830.8	2,122.0	2,116.3	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,422.1	1,450.0	1,496.7	1,568.9	1,441.2	1,901.2	1,269.0	1,496.1	1,626.2	1,580.7	1,947.1	1,715.7	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	313.1	317.4	414.1	400.6	495.8	365.4	659.1	616.0	468.6	544.5	1,109.4	402.3	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან



ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან



დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში
შეგიძლიათ იხილოთ

ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)
შეგიძლიათ იხილოთ

საქართველოს პარლამენტი